

საქართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საორბული გავითი

სამუბათი 13 აბვისტო 2002 №150 (1672)

ფასი 50 თეთრი

ბლატერმა ჟორდანის აღიბი გაგოატანა



მერაბ ჟორდანია

არ ვიცი,
სასამართლოს
გადაწყვეტილება
როგორ აღვასრულოთ.
ეს ჩვენთვის
არავის უთქვამს.
მე ვაცხადებ,
ფიფას წერილს
დავემორჩილებით

FIFA

თუ წამოჭრილი პრობლემები სფფ-ს
წესდების შესაბამისად მუშაობის
საშუალებას არ მისცემს, ფიფა
იძულებული გახდება, მიმართოს თავის
აღმასკომს და ყველა შესაძლო ზომის
მიღება სთხოვოს სფფ-ს ფიფადან
გარიცხვის ჩათვლით. იგივე მოთხოვნა
გადაეგზავნება უეფასაც. შეგახსენებთ,
რომ ეს სანქციები თქვენს ფედერაციას
ფეხბურთის საერთაშორისო დონეზე
თამაშის საშუალებას და ფიფას
ყრილობაზე ხმის უფლებას წაართმევს

მოსამართლე კვანტალიანი

არ ვიცი,
რა წერილი
გამოგზავნა ფიფამ
და სიმართლე გითხრათ,
არც მაინტერესებს.
სასამართლოს
გადაწყვეტილება
ჯანონიერია და უნდა
აღსრულდეს

**ქართული ფეხბურთი რბოლი გავზვიან
ისავ თითს უქნავან და
ყურის ანავით ამუქრავიან**

საპარტიველოს 14 ჩაბარებაში 2 ტურში

რა შენს, პატარა კასი პარ! მერანმა ფული მ... თაში გადაიხადა?

მთავარი... 20 აგვისტო... 3 000 (ტვირთვა 19 500) გორაკდომ 1:0 მერანი

Table with match details for Gorkadom 1:0 Merani, including player names and statistics.

რუსადის მითითებას ელოდებოდა. ეს უკანასკნელი ამ დროს „მერანის“ პრეზიდენტ ანზორ მამალაძესთან და ავტორიტეტულ მწვრთნელ ოთარ გაბელიასთან ერთად სიტუაციაში გარკვევას ცდილობდა.

რებს, თამაში არ დაიწყო. ასე მითხრეს შოთაძემ, ჩოლარიამ და ძაბუკაშვილმა. მამალაძე კიდევ ვცადოთ მათთან დაკავშირება, იქნებ გვიმელავათონ.

3:0 ვილანი

Table with match details for 3:0 Vilani, including player names and statistics.

ვეტერინარებმა ყველა კომპონენტში დაზარალებულნი ვხედავთ — ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმში ითქმის.

არ გადაიხდი — 0:3, გადაიხდი — 0:3

საპარტიველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ანგარიშგასწორებულმა წნორის „მილანმა“ იგივეს გაკეთება თბილისურ „ვიტ ჯორჯიასთან“ ვერ შეძლო და შინ ისევ უქულოდ გაემგზავრა, წინა ტურში ხომ კახელებს

სტუმრად ფოთის „კოლხეთთან“ ჩაითვალათ 0:3 წაგება. ერთი მატჩის მიხედვით განსჯა, ალბათ, ცოტა უმართებულოა, თუმცა აქედანვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მილანის“ უმთავრესი საზრუნავი ამ სეზონში უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება.



ჩია მამუკა რუსიამ ზესტაფონელებს თავითაც აჯობა

2:0 მგობრი

Table with match details for 2:0 Mgbri, including player names and statistics.

ზესტაფონი ნაღდად არ არის კოპენჰაგენი

თდებოდა, როგორც ყოველთვის, აქტიურობდა კასა გოგინაშვილი, რომელმაც გაიტანა კიდევ პირველი გოლი: ნელონური თამაშარეს შექმნისას გოგინაშვილი ზესტაფონელ მცველებს მარჯვნიდან დაუსხლტა, პასმაც არ დაავიანა, კახამ კი ლაბაძეს ახლო კუთხეში გაუტანა.

მიკაელ, ჩვენი გასკუნადავ!

შოტლანდია

პრემიერლიგა. II ტური

რეინჯერსი 3:0 დანდი
 1:0 დე ბური (12), 2:0 ბრეველამი (66), 3:0 ლოვე ნორანდი (87)

რედინგისი 2:1 ბრეველამი
 1:0 კოლინი, მუსკატა, ნუშანი, მური, ამორუზო, რიკანტი, არტეტა, ფერგუსონი, რ. დე ბური (ლოვენორანდი 74), შ. ბრეველამი, ფლო

მწვანელები ალტის მაკლიში
 დანდი: სპორინი, მაკვი, სმიტი, უილი, ერნანდესი, ნოვი (კაბალიერი 71), ნიშანამი, რაე, მარი (რობი 71), მილნი, სარა

ჩამპიონს ლიგის ტრავმირებულია
 მწვანელები: ჯიმ დევი
 გაფრთხილები: მილნი, მაირი, რაე, მური, არტიტა

მათი ფრილენდი
 47 044 მყურებელი

აბერდინი 0:4 სელტიკი
 0:1 მიალი (5), 0:2 სატონი (34), 0:3 სილა (53), 0:4 ლამბერტი (66)

პრემიერლიგის პიკინიანი
 1:0 კოკი (18), 2:0 დე ვრისი (40), 2:1 მიურეი (51), 3:1, 4:1, 5:1 დე ვრისი (66, 89, 90)

დანი 0:2 კილმარნოკი
 1:0 ტომპსონი (71), 1:1 დარგი (78), 1:2 კ. ბოიდი (82)

დანი 0:2 კილმარნოკი
 1:0 კოროფორდი (28), 2:0 ბრიუსტერი (50), 2:1 ქაუმა (90)

მორეი 1:1 პარტიკი
 0:1 ა. ბარნი (81), 1:1 პარსონი (83)



„რეინჯერსი“ — „დანდი“. სტუმართა რბევა რონალდ დე ბურმა (შუაში) დაიწყო

ნამეტანი გულრიბო ყოფილა „სელტიკი“. შოტლანდიური პრემიერლიგის წინა გათამაშებაში გლაზგოელი კათოლიკები ერთადერთხელ დამარცხდნენ სტუმრად „აბერდინთან“. ის მატჩი შარშან დეკემბერში იყო და სელტიკელებს ორი გოლის გარდა თოვლის გუნდებიც კი დაუშინეს.

ჰოდა, მარტინ ონილის გამძვინვარებულმა „სელტიკმა“ ამ ჯერზე ბლვინი ადინა „აბერდინს“. ოლინდ ეგაა, პენრიკ ლარსონმა ვერ შეაგლო, ოლინდ ძელსგარტყმულ ბურთს დასჯერდა. პროტესტანტულმა „რეინჯერსმა“ კი გიორგი ნემსაძის „დანდის“ გადაურბინა, ხოლო მატჩის საუკეთესო მოთა-

მაშელ აბროქსელებმა მიკელ არტეტა დაასახელეს.

ეს 20 წლის ესპანელი ნახევარმცველი წინა სეზონში „პარი სენ ჟერმენში“ თამაშობდა. არტეტა მაშინ „ბარსელონასთან“ იყო განათხოვრებული პარიზულ კლუბში. „რეინჯერსმა“ ის უფასო თასის მეთექვსმეტედფინალურ მატჩებში გამოსცადა და საამსეზონოდ გადმოიბირა კიდევ.

არტეტამ მე-12 წუთზე კუთხური ისე ჩააწოდა, რომ რონალდ დე ბურმა თავურით გაუტანა ჯგულის სპერონის.

ტაიმის მიწურულს „დანდის“ ერთადერთი რეალური საგოლე შანსი მიეცა. ლორენცი ამორუზოს შეცდომის შედეგად დანდელთა ესპანელი ფორვარდი ნაო ნოვი შტეფან კლოსის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი ხარისხს გადაავლო.

შესვენების შემდეგ კვლავ მასპინძლები უტევდნენ, თუმც 69-ე წუთამდე „დანდი“ თავს კარგად იცავდა, მაგრამ ტორე ანდრე ფლომ ისე მასვილგონივრულად გაუთავისუფლა სივრცე მარცხენა ფლანგზე შოთა არველაძეს, რომ ჩვენებურმა თავისი მეორე გოლი მიითვალა შოტლანდიის მიმდინარე ჩემპიონატში.

თუმც, შოთა ამას არ დასჯერდა და შეცვლაზე შესული პიტერ ლოვენკრანდსი საგოლე პასით დაასაჩუქრა.

„მატჩის გმირად რეინჯერსელებმა

მიკელ არტეტა შერაცხეს, რომელიც წარმოშობით ბასკი გახლავთ.

ჩამპიონს ლიგის

სელტიკი	2	2	0	0	6	6
პარტიკი	2	1	1	0	6	4
რეინჯერსი	2	1	1	0	4	4
კილმარნოკი	2	1	1	0	3	4
დანდი იუნ.	2	1	0	1	3	3
ლივენგსტონი	2	1	0	1	4	3
დანფერმლინი	2	1	0	1	3	3
აბერდინი	2	1	0	1	2	3
მორეი	2	0	1	1	3	4
პარტიკი თისლი	2	0	1	1	1	3
დანდი	2	0	1	1	1	4
პიტერნიანი	2	0	0	2	2	7

პირველი დივიზიონი

80-2 ტური: ალოა — არბოთი 0:3; კლაიდი — ეარი 1:3; ფოლკერკი — სტ. მარინი 2:0; როს ქაუნთი — ტუნ ოფ საუთი 2:0; სტ. ჯონსტონი — ინვერნესი 1:0

მეორე დივიზიონი

80-2 ტური: ბერიკი — რეთ როფერსი 1:3; დამბარტონი — ბრეინი 1:0; ფორფარი — სტენჰამზური 1:0; ჰამილტონი — ერფრი 1:0; სტრენარო — ტოუნდენთი 2:3

მესამე დივიზიონი

80-2 ტური: ალბონი — პიტერჰედი 0:0; ისტ ფაიფი — ისტ სტორლინგი 4:1; ელგინი — გრენა 0:2; მონტროუზი — ტუნზ პარკი 1:1; მორტონი — სტორლინგი 1:1



„მეთოფე“ დენის ბერესკამში ბურთს მკერდით გადაეფარა

ფარის არსენალმა წაიღო მბიერმა ვენგერმა პირი ღაალო

ინგლისი

სუპერთასი

არსენალი 1:0 ლივერპული
 1:0 ჟილბერტო სილვა (69)

არსენალში: სიმენი, ლორენი, კიოუნა, ს. ვემბე-ლი, ეშლი კოული, პარლოუ ვიერა, ედუ (ტოლბერტო სილვა 46), ვილტორადი, ბერესკამი (ტურე 85), ანრი

მწვანელები: არსენ ვენგერი
 ლივერპული: დუდეკო, შავიერი (ბაბელი 78), ჰიბიბა, ანზო, ტრაორე (მურეი 88), რიხე, ჯერარდო, ჰამანი (მურეი 67), ოუნი (შმიცერი 85), ჰესკი (ბაროზი 74), დიუფი

მწვანელები: ფრანკ ლივი
 67 337 მყურებელი

პრემიერლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღეა დარჩა და ტრადიციულად, ჩემპიონატის დაწყების წინა კვირას ჩემპიონმა და

მელშიაც საყრდენ ნახევარმცველებს, მეთოფე პატრიკ ვიერასა და მერსისაიდელ სტივენ ჯერარდს ერთმანეთში ყვითელი ბარათების გაცვლა მოუხდათ.

თამაშის უმეტესი ნაწილი „არსენალის“ კარნახით მიდიდა. „ლივერპულელთა“ მეკარე ირჟი დუდეკოს ბედიც ულიმოდა და ოსტატობის დადასტურების საშუალებაც მისცემოდა. უკვე მეოცე წუთზე მან ზედიზედ სამი დარტყმა მოიგერია: სილვენ ვილტორდისა და დენის ბერესკამისა (ორი), რომელმაც ეგრეც ვერ შეჩინა ბურთი კარში. ტიერი ანრის და სოლ კემპელსაც კი ჰქონდათ გოლის გატანის შანსი.

ლივერპულელთაგან გოლის გატანა ემელ ჰესკის შექმლო, რომელმაც კარგად მიიღო მიკელ ოუენის გამჭოლი პასი, მაგრამ დევიდ სიმენმა იოლად აულო ალლო ჰესკის დაბად დარტყმულს.

სხვა მხრივ კი, პირველ ტაიმში გაფრთხილებმა მეტი იყო, ვიდრე სახიფათო მომენტი. ჯერარდი კი ნამდვილად გადაურჩა გაძევებას, როცა ანრის კინაღამ ფეხი მოაგლიჯა. შესვენების შემდეგ იმავე ანრის შექმლი გატანა — ბერესკამმა მარტოდ დატოვა კარის წინ, მაგრამ ფრანგის დარტყმული დუდეკმა ფეხით მოიგერია. დუდეკამეც შეუშალა ხელი ვილტორდს. ამასობაში „ლივერპული“ მოღონიერდა და ჯერარდის მეშვეობით შუა მოედნის დაფარობასაც შეეცადა, მაგრამ გოლი სწორედ ამ დროს გაუშვა.

ვილტორდმა საჯარიმოს მარცხენა



ჯილბერტო სილვა: მივიდა, გაიტანა, დაეფულა

პოლანდია

პსმ მიწაში ვატრეუსი, იიერი, პოლანდია...

სუპერტასი აბანდო 3:1 ჰსა ინფაროვინი...



აიქსელ ვამბერტოს ეინდოვენენმა იიერიმა წიხლი მიაცოლა

რუმინეთი

სუპერტასი რაბიდი 2:1 დინამო...

Table with 2 columns: Team Name, Score. Lists various teams and their match results.

აგსტრია

Table with 2 columns: Team Name, Score. Lists various teams and their match results.

უგანდა

აგპუპი. VII ტური დელონი 2:1 აბასუ...

Table with 2 columns: Team Name, Score. Lists various teams and their match results.

ბენინი

Table with 2 columns: Team Name, Score. Lists various teams and their match results.

გაბონი

I დივიზიონი. I ტური ლოგოლი 2:2 ლეონი...

Table with 2 columns: Team Name, Score. Lists various teams and their match results.

თურქეთი

პირველი ტური: ტრამპონი — ფენერბაჰჩე 0:0...

ეული არაა ეული

უხეშ თამაშში დადანაშაულებს. „ფენერბაჰჩე“...



სამხრეთკორეელი ინგ-უულ ლი ტრამპონელებმა ხელიხელაყიდებული ატარეს

დანია

Table with 2 columns: Team Name, Score. Lists various teams and their match results.

ნორვეგია

Table with 2 columns: Team Name, Score. Lists various teams and their match results.

ფინეთი

Table with 2 columns: Team Name, Score. Lists various teams and their match results.

აპოლონეთი

Table with 2 columns: Team Name, Score. Lists various teams and their match results.

უგანდა

Table with 2 columns: Team Name, Score. Lists various teams and their match results.

იყიდება სასწრაფოდ!

შავი ანტიკვარული როიალი „ბუხბუკინი“...



იგი ნაპა და სპა მოვა? კუპერს კაყოფილი რონალდო სჭირდება

რონალდო ვერ კლუბთან გააკვირვოს ურთიერთობა და ვარჯიშზე მერე მოვიდესო, თქვა „ინტერის“ არგენტინელმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა მოგესხენებო, მოწმენდილ ცაზე მეხი პირველად მაშინ გავარდა, როდესაც ფეხბურთის გაქნილმა აგე-

ნტმა, ალექსანდრ მარტინსმა პრესაში განაცხადა, ბრაზილიელი ვარსკვლავი „რეალში“ გადამყავსო. ვერ გეტყვით, რა ჰქონდა მარტინსს ჩაფიქრებული, მაგრამ მისმა განცხადებამ სრულიად ლოგიკური აურზაური გამოიწვია. მილანში აღშფოთდნენ, მადრიდში ალე-

ლდნენ, საბოლოოდ კი რონალდო მილანში ჩავიდა, ვერ თქვა მადრიდში მართლა მივიღივარო, ხოლო მერე — „ინტერის“ ერთგული გახლავართ, აქედან ფეხს არ ვიცვლიო.

„ველარ გავიგე, მიდის ეს კაცი თუ რჩება — უთხრა კუპერმა რადიო „კანდერა სერის“ კორესპონდენტს — რამდენადაც ვზვლები, ის და კლუბი ვერ კიდევ თათბირობენ და ვერ გაურკვევიათ, უნდა წავიდეს რონალდო სადმე თუ უნდა დარჩეს. მწამს, რადგანაც თათბირობენ, ესე იგი, საკითხი ვერ არ ამოწურულა. ამიტომ, სჯობს ვერ მხოლოდ გაირკვეს რა ზღვება, მისი ფორმაში ჩადგომა კი პრობლემა არ არის. მერე რა, რომ სხვებზე გვიან მოვიდა საწვრთნელ ცენტრში, ვე ველოდები რამდენიმე დღის ამბავია“.

კუპერი მართალია. ის მწვრთნელია, მას შედეგს სთხოვენ და ამიტომ ფრთხილობს. ამასთან, ცნობილი ფაქტია, რომ თუ ფეხბურთელი (და არა მაინცდამაინც რონალდო) კლუბში თავს კარგად ვერ გრძნობს, მისგან მაქსიმუმს არ უნდა ელოდო.

„არასდროს მსმენია, რომ რონალდო „ინტერში“ თამაშით უკმაყოფილოა. პირიქით, ყველა საპირისპიროს ამტკიცებდა. მეტიც, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ მიმართავდნენ აქაურები ყველა წარმოსადგენ და წარმოუდგენელ ხერხს, რათა ამ ფეხბურთელს ძნელბედობის ორწლიანი პერიოდი შემსუბუქებოდა და მოედანს კვლავ ვარსკვლავად დაბრუნებოდა. დღეს ფაქტია, რომ ის კვლავ ვარსკვლავია. ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონატზე თავად, თავისი ნიჭის წყალობით მიღწეა წარმატებას, მაგრამ ვიმეორებ, საამისოდ „ინტერში“ ძალიან ბევრმა ადამიანმა იმუშავა. ერთი სიტყვით, თუ რონალდო წავა, ცუდი იქნება, რადგან მისი დონისა მსოფლიოში ბევრი არ არის და მისი სხვა მოთამაშით შეცვლა გამორიცხებულია. ჩემი სურვილია ის დარჩეს, ოღონდ, აუცილებლად კმაყოფილი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არაფერს ექნება“ — დასძინა კუპერმა.

ბაბუნა კვიციანი

ფიორენტინას პირველი მწვრთნელი

იბაი პიეტრო ვერზოვოდის მიართვას

იტალიის ნაკრების ყოფილი მცველი, „სამპდორიას“ და სერია A-ს სხვა კლუბებში თამაშით ცნობილი პიეტრო ვერზოვოდი ახალი „ფიორენტინას“, ზუსტად კი „ფიორენტინა 1926“-ის მწვრთნელად დანიშნეს. ეს ამბავი იტალიელმა გულშემატკივრებმა კვირას, „ლა გაძეტა სპორტივას“ კითხვისას, კლუბის მეპატრონის, დიეგო დელე ვალეს ინტერვიუდან შეიტყვეს.

„ჩვენ შევეცდებით „ფიორენტინა“ მის შესაფერის ადგილას უმოკლეს დროში დავაბრუნოთ“ — ამბობს პრეზიდენტი.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ვერზოვოდი, რომელიც დღეს 43 წლისაა, სერია A-ს ბევრ კლუბშია ნათამაშევი. ჯამში, იტალიის უმაღლეს დივიზიონში 502 შეხვედრა ჩაუტარებია და ამ მაჩვენებლით მხოლოდ „იუვენტუსის“ ლეგენდარულ მეკარეს, დინო ბოფს ჩამორჩება, ისიც სულ 8 თამაშით.

„ამრიგად, ჩვენ უკვე გვყავს სასურველი მწვრთნელი. ახლა მანქანის ძრავის ამოქმედებაა საჭირო“ — წერია „ლა გაძეტა სპორტივას“.

გავიხსენოთ, რომ „ფიორენტინა 1926“ ჩვენივე ასე ნაცნობი „ფიორენტინა“ არ არის. ჩვენი ნაცნობი „ფიორენტინა“ გაკოტრდა და აღარ არსებობს, ასე რომ ის გუნდი, რომელსაც პიეტრო ვერზოვოდი გაწვრთნის, მასთან მხოლოდ მორალურ და გეოგრაფიულ კავშირშია.

ბაბუნა კვიციანი



პიეტრო ვერზოვოდი



გაეროდან ისტორიაში

ნუთუ კიდევ იტყვიან, რომ ფეხბურთში თამაში და შედეგია მთავარი? დახედეთ, „რომას“. რამდენიმე დღის წინ ნიუ იორკში იყო — ფეხბურთელები გაეროს გენერალურ მდივანს, კოფი ანანს ართმევდნენ ხელს. — იქვე „რეალთან“ 0:0 ითამაშა, შემდეგ კი ისევ ოკეანე გადმოკვეთა და ახლა აფრიკაში ჩავიდა ეგვიპტის „ალ-აჰლისთან“ საბურთაოდ. ან მადრიდელებთან სათამაშოდ ცხრა-ათ საათიანი ფრენა რა საჭირო იყო, ან იქიდან ქაიროში ჩაბრძანება რაღას ნიშნავდა, თუ ეს ყველაფერი რეკლამა და კომერცია არ არის? ქაიროში კი რომაელები დადლილობისგან, ცხადია, ფეხზე ვერ იდგნენ და 1:2 წააგეს. ამასთან, მოგესხენებო, გუნდს ლიდერი, ფრანჩესკო ტოტი ჰყავს დაშავებული და ზედაც, „ალ აჰლისთან“ შეხვედრაში, მეორე ტაიმი რომ დაინყო, მსაჯმა მოედ-

ნიდან ჯონათან ძებინა გააძევა. შეგახსენებთ, რომ შარშან ამ დროს, იმავე ქაიროში, იმავე „ალ-აჰლისთან“ „რეალმაც“ წააგო 0:1.

„რომას“ კარში გოლები იბრაჰიმ საიდმა და ეველინიომ გაიტანეს, „ალ-აჰლის“ კარში კი ვინჩენცო მონტელამ დაუმიზნა ზუსტად.

ერთი სიტყვით, ფეხბურთი ნელ-ნელა, სარეკლამო კამპანიას ემსგავსება და ბურთზე მნიშვნელოვანი ბედუნი ბატისტუტასთვის პირამიდებთან და აქლემზე ფოტოს გადაღება, სფინქსთან გუნდურად პოზირობა თუ კაფუსა და ჩეზარე ბოვოს უდაბნოს ძმობა ხდება.


თუმცა, იმედია, მალე ბურთის ლაზათიან გორებასაც ენახავთ. იტალიის ჩემპიონატი 1 სექტემბერს იწყება.

ბაბუნა კვიციანი



REUTERS ქაიროდან

ჰერნის დაკრძალვა



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ლოს ანჯელესში, ბრინჯულის უბანში, ტურელი წმინდა მარტინის კათოლიკური ეკლესიის ახლოს დაკრძალეს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლეგენდარული გამოცხადებული და კალათბურთის კომენტატორი ჩიკ ჰერნი, რომლის სიკვდილის ამბავიც გასულ კვირაში გაუწყეთ. ჩიკ ჰერნი 1960 წლიდან უძღვებოდა „ლეიკერსის“ საშინაო თამაშებს და გუნდის ერთ-ერთი სიმბოლო იყო. მწ წლისას სახლში ფეხი დაუცდა და თავის ტრავმა მიიღო, რამაც ტვინში სისხლის ჩაქცევა გამოიწვია. ჰერნის შვილთაშვილმა კაილა ნიუმენმა საფლავზე მტრედი აუშვა. „ლეიკერსის“ დიდი ვარსკვლავები კი გულამომჯდარნი იყვნენ და იცრემლებოდნენ. მეჯიკ ჯონსონი და მაიკლ კუპერი სხვა მრავალთან ერთად დაესწრენ ჰერნის დაკრძალვას.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

სამრუხარო ამბავი



REUTERS ლონდონიდან


ასე აღადგინა ბრიტანეთის პოლიციამ ორი გაუჩინარებული გოგონას სურათი. კემბრიჯშირელი ათი წლის მეგობრები პოლიციაში დასწრეს ჩემპიონი ერთი კვირის წინ გაუჩინარდნენ. დადგენილია, რომ მათ ორივეს ბექჰემის მაისურები ეცვათ. ამ ფოტოს ვაგრცელებით პოლიცია ცდილობს, შემთხვევით მხახვებს მათი იერი აღუდგინოს. ბრიტანეთში, სადაც მცირეწლოვან გოგონათა გატაცება, ჩვეულებრივ, ტრაგედიით სრულდება და სულ ახლახან გაასამართლეს პატარა სარა პეინის მკვლელები, რომ გოგონები ცოცხლები არიან.



REUTERS როი დი ფანცირონიდან

ტრიატლონი კოპაკაბანაზე

სამრუხარო ამერიკულ თამაშებზე, რით დე უანეიროში რომ მიმდინარეობს, ქალთა ტრიატლონის ჯერაც დადგა. შეჯიბრი პირდაპირ ვანტქმულ კომპაკაბანაზე გახურდა. ქალებს 10 კილომეტრი უნდა გაერბინათ, 40 ველოსიპედით ევლოთ და მერე კილომეტრნახევარი გაეცურათ.



მეორედ დაიბადა

აჰა, პირველი ფოტო სიცოცხლის ხელახლა შეგრძნების შემდეგ. თორმეტი დღის წინ, მწ წლის ჯორჯ ბესტიმ ღვიძლი გადაინერგა და გუშინ პირველად გამოვიდა ლონდონის კრომველ პოსპიტლის აივანზე მეუღლე ალექსთან ერთად. ბესტი უზომოდ მადლობელია დონორებისა და ამბობს, რომ აღარასოდეს დაღვეს ალკოჰოლიან სასმელს. ხოლო თუ არ გსმენიათ, ვინ არის ჯორჯ ბესტი, აწი ამის ახსნას აზრი არა აქვს.

ბაიფრინა

ფინეთში რალის მსოფლიო სერიის მეცხრე რაუნდი მიმდინარეობს. ბელგიელ პილოტს, ფრანსუა დიუვალს ფრენაც კი უწევს, რას იზამ? რალი ფრენასაც გულისხმობს.



სარბიელი
საორტული გაზაფხი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის საგზააბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შონიძე
დირექტორი ბიორბი ოძროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიალი
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კობორიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი
ჭარბული ფეხბურთის რედაქტორი დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალაბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი
რედაქტორი ბიორბი ღარჯანიანი
ვით ახელდებიან, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი,
ვიორგი ვაშაქიძე, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ლევან კელაუაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირა-
შვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლენჯაშვილი, ბადრი კვიციანიძე
სტილისტები: ნათელა ვიორგობიანი, ლალი გონალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბლაშვილი, ელენე
ველუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგებაშვილი, სვეტა
დევაძე, ფატი დვალისძე, მაგდა დოგვაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენ-
გიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომცემი ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbili.com.ge>